რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებისა" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გვარამიის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

მთელი წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო-მოზრდილით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივი ასოებით სტრიქონზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია ასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

ხუთის თვის ხელის-მოწერა.

პირველის აგვისტოდამ ამ 1882 წლის დამლევამდინ

„დროება"

ღირს გაგზავნით 4 (ოთხი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".

ტელეგრამმა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

სტამბოლი, 16 აგვისტოს. საიდ-ფაშამ გამოუცხადა დეფერინს, რომ პორტა დათანხმდა გამოაცხადოს არაბი მოჯანყედ და მიიღოს ინგლისის პირობები კონვენციისა.

გუშინ, 15 აგვისტოს, ზალცბურგში მიიცვალა ტელეგრაფის დირექტორი, ტაინი სოვეტნიკი ლიუდერს.

დღიური

ჩვენ შევიტყეთ, რომ კახეთიდამ რამდენიმე თავად-აზნაურები აპირებენ წასვლას სამეგრელოში, რათა უკანასკნელი პატივის ცემა განუცხადონ ახლად გარდაცვალებულს დედოფალს ეკატერინას.

* *

როგორც შევიტყეთ, ახალი ეგზარხოსი ამ თვის ოცს კიშინევიდამ პეტერბურღს უნდა წავიდეს და იქიდამ გამოემგზავრება ქალაქში ჩამოსასვლელად ენკენისთვის პირველს რიცხვებში.

* *

სადაც აქამომდე ქუკიაში (საკუთრად ჩუღურეთს) კვირა ცხოველის ეკკლესიის ნანგრევი იყო გორაზე, იმ ადგილს ახალი ეკკლესიის აგება განუზრახავთ ტფილისის მცხოვრებ მართლ-მადიდებელ აისორებსა, მთავრობასთან თხოვნა შეუტანიათ და აგების ნება მიუღიათ. ქალაქში ამ ჟამად დიდ-ძალი აისორი (ძველის ასსირიელების და ქალდაველების ჩამომავალი) სცხოვრებს, რომელნიც აგერ ოც-და-ათი წელიწადი მეტია რაც ქალაქში ჩამოდიან სპარსეთიდამ, საკუთრად ურმიიდამ და ხოსროვადამ (ხოსროვაბადიდამ). უმეტესნი ნაწილნი ამათგანი მეთუნლუხეები არიან, და დღიურად მუშანი; აგრეთვე მცირე ნაწილი ხელოსნები არიან, დურგლები და ხატერები. 1876 წელს ქალაქის აღწერის დროს, აისორები ითვლებოდნენ 220 სული. ეს ვგონებთ შეცდომა უნდა იყოს. ამ ჟამად ქალაქში სულ ცოტა რომ ვთქვათ ერთი ორად მეტი უნდა ითვლებოდეს, მეტადრე იმიტომ, რომ ამ უკანასკნელ წლებში აისორები ცოლ-შვილით გადმოსახლდნენ და ძალიან გაბევრდნენ. საზოგადოდ ესენი ქრისტიანები, უმეტესი ნაწილი კათოლიკეები (ფრანგები) არიან და საკუთარ თავის ენაზე მწირველი მღვდელი ჰყავთ. ამაზე ნაკლებად არიან ნესტორიანების სექტისა, შემდეგ უფრო ნაკლებ მართლ-მადიდებელნი და ბოლოს სომხის სარწმუნოებისა. აქ უნდა მოვიხსენიოთ, რომ ნესტორიანები მღვდელ-მოქმედებისათვის ხან მართლ-მადიდებლის და ხან სომხის მღვდლებს მიიწვევენ. საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ, უფრო განსაზღვრულად კათოლიკენი ადგანან თავის სარწმუნოებას, სხვები რადგანაც ნესტორიანის სექტისაგან არიან, გაურკვეველად ხან სომეხთ სარწმუნოებას ჩემობენ, ხან მართლ-მადიდებლობისას. ყოველს შემთხვევაში ერთი შესანიშნავი მხარე აქვთ ამათ, რომ მუდამ ცდილობენ თავის ენაზე ჰქონდესთ წირვა-ლოცვა. ამ გარემოებამ შეინახა ეს ძველად განთქმული ისტორიის ხალხის ჩამომავლობა აქამომდე. მათი რიცხვი სპარსეთში, ოსმალეთში და ინდოეთში ამბობენ ორ მილიონამდე ითვლებაო. მომატებული ნაწილი მათი ნესტორიანები არიან და ჰყავთ თავისი კათოლიკოზი (მარშიმონი). მათ შემდეგ კათოლიკეები არიან, მერე პროტესტანტები სხვა-და-სხვა სახელ-წოდებისა (ანგლიკანები, ლოტერანები, რეფორმატები და სხვანი), მათ შემდეგ სომხის სარწმუნოებისა და ბოლოს ყველაზე მცირე მართლ-მადიდებელნი. წირვა-ლოცვა აქვთ ყველას ქალდაურს ენაზე; სპარსეთში, სადაც უფრო მკვიდრობენ ისინი, ევროპის მისსიონერებს სკოლები აქვთ თავ-თავის სარწმუნოებისა; ქალდაურს ენაზე უბეჭდვენ სამღთო და საერო წიგნებს და სკოლებში ყველა საგნებს მათს ენაზე ასწავლიან. ყველაზე მომეტებულად გამოჩენილნი და მიღებულნი არიან ხალხში ფრანცუზის, ინგლისის და ამერიკის მისსიონერები.

ჩვენ შევიტყეთ, რომ უკვე განკარგულება მოუხდენია მთავრობას, რომ აქამდინ ანჩხატის ეკკლესიაზე მიწერილი ეს კვირა-ცხოველის საყდრის ნანგრევი ჩამოერთვას. ამ ჟამად აისორებს დაუწყიათ კიდეც მუშაობა და ძველს გორას ასწორებენ და აგანიერებენ ძველზე მოდიდო ეკკლესიის-

«დროების» ფელტონი, 18 აგვისტ.

არაბი-ფაშა

ეგვიპტის გმირი

ეგვიპტის ხალხის მოძრაობამ, იქაურმა საქმეებმა ისეთი ყურადღება დაიმსახურეს მთელი ევროპისაგან, რომ ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ გავაცნოთ, რაც შეიძლება დაწვრილებით, ჩვენს მკითხველებს—ამ საქმეების მოთავე, ამ მოძრაობის წინამძღოლი გმირი არაბი-ფაშა.

—

ნაციონალური დასი, პარტია ე. ი. ის პარტია, რომელსაც უნდოდა თავის სამშობლო განეთავისუფლებინა სხვა ხალხის განვლენისაგან, ქვეშევრდომებისაგან, დიდი ხანია, რაც არსებობს ეგვიპტეში; არაბი-ფაშამ მხოლოდ განახორციელა ამ პარტიის სურვილნი და წადილნი და მაღლად გამოჰფინა განთავისუფლების დროშა. გარემოებანი დაეხმარენ მას, ხალხის აღტაცებულმა გრძნობებმა და თვით არაბის ხასიათის ზნეობითა თვისებებმა ისეთი განვლენა მოახდინეს, რომ იმას სთვლიან ალლახის წინასწარმეტყველად, თითქმის ღმერთად მიაჩნიათ.

როდესაც არაბი პოლკოვნიკი იყო, მოვიდა იმისთანა შეიხი, სამღვდელოპირი, რომელიც ითვლება ეგვიპტეში წმინდანად და გამოუცხადა, რომ მაჰმადმა სიზმარში გადასცა მას ომარის ხმალი არაბისათვის.

არაბი მაშინ განთქმული კაცი იყო ჯარში და ხალხისაც დიდი სიყვარული ჰქონდა დამსახურებული. რაკი ხმა გავარდა შეიხის სიზმარზე, მთელმა ხალხმა აღიარა ის მაჰმადის მოწაფედ და ღვთისგან გამოგზავნილ მოციქულად. ეგვიპტეში ვერ იპოვი ისეთს მაჰმადიანს, რომელმანც თავის სიცოცხლე დაიშუროს არაბის გულისათვის. მისი სურათები იყიდებიან ათასობით, გულზედ ატარებენ ავგაროზის მაგიერ. როცა ეგვიპტელებს სწყინთ რამ, მაგალ.—დიდი ჯამაგირები უცხოეთლების ეგვიპტეს სამსახურში, ან და ჰსურსთ ლალის, გადასახადის შემცირება—ისინი მოჰყვებიან ყვირილს: „გაუმარჯოს არაბის"!—დარწმუნებულნი არიან, რომ არაბი გაუგონებს და დაეხმარება. თუ დაჰსჭირდათ რამ ახალი კამონდება, რომელიც ხალხს მისცემს მეტს უფლებებს, ვიდრე აქვს, მაშინვე გაისმის მთელს ეგვიპტეში: „გაუმარჯოს არაბს"! მწუხარებში, ლხინში, გაჭირვებაში, მუშაობაში—ყოველგან ეს ძახილი, მაღალის ხმით, აღტაცებულ სახით: „გაუმარჯოს არაბის"! „გაუმარჯოს არაბის"!

ამგვარი განწყობილება და სიყვარული ჰქონდა ხალხს არაბის, სანამ ის მინისტრად გახდებოდა. ეგვიპტელები კარგი ხანია, [კაც]ად აღარ ცნობენ არაბის, ეს იმათთვის რაღაც სიმბოლოდ გადაქცეულა. როგორც კაცი არაბი მართლა შესანიშნავი პირია—გამჭრიახი ჭკუის, მაგარი ხასიათის პატრონი; ამიტომაც მან ესე მაღლა აიწია სამსახურში. მეცნიერულად განათლებული არ არის, მაგრამ თავის ჭკუა-მახვილობით ბევრს მეცნიერს და განათლებულს თვალებს დაუკეცებინებს. არაბული ენის მეტი არც ერთი ენა არ იცის; არსაით უმგზავრია და თავის ცხოვრებაში მაინც-და-მაინც ბევრი ალმაშფოთებელი არ უნახავს და ნაკლებ გამოუცდია ამ წუთიერი სოფლის ცხოვრება.

ის ეხლა 41 წლისაა—მაღალი ტანის, ჩასკვნილი, მოკლე მძლავრი ხელებით; გრძელი შავი ულვაშები, თითქმის შავი თმა. თვალები მამაცურად გამოიყურებიან; შუბლი ფართო და მაღალი; მადიანი, მიმზიდველი სახის გამომეტყველება; კარგი მოლაპარაკე და მობაასე; მასლაათში დიდი ეშმაკობა ეტყობა, აღმოსავლეთის პოლიტიკა ზედ-მიწევნით შესწავლული აქვს და ძალიან უყვარს იტალიის ხალხებთ აღდგენაზე ლაპარაკი. ამ ხალხების განთავისუფლების ისტორიაც ძალიან კარგად შეუსწავლია.

გარიბალდიზე აღტაცებით ლაპარაკობს.

სამღვთო წერილში სიყმაწვილიდგანვე განვითარებულია, ისე რომ ამ საგანზე შეუძლია უმეცნიერესს ეგვიპტეს თეოლოგებს გამოებაასოს და უკან არ ჩამორჩება.

15 წლის იყო, როდესაც უბრალო მეომრად შევიდა მაშინდელ ეგვიპტეს მმართველის (ქედივის) საიდ-ფაშის ჯარში. ოთხი წლის შემდეგ 1860 წელს, 19 წლის არაბმ მიიღო პოდ-პოლკოვნიკის ჩინი,—ამ გვარად მალე ამაღლება, ასრე ყმაწვილ კაცის ამდენი ჩინი-მთელს ეგვიპტეში უმაგლი

თვის. თითონვე აისორები მუშაობენო.

* * *

დღევანდელს ნომერში მკითხველი ნახავს ქობულეთიდამ მოწერილს წერილს, რომლიდამაც გვესმის, რომ ამ თვის პირველ რიცხვებში ქობულეთში და ბურიაში ჯარების გასეირნება დაწყებულა. ეგრედ წოდებული სამხედრო გასეირნება (прогулка войскъ) მოხდება ხოლმე სხვათა შორის, იმისთვის, როდესაც სადმე ავაზაკობის დევნაა საჭირო. როგორც კორრესპონდენციიდამ ვხედავთ ჯარების შესვლა ქობულეთში ეს უნდა იყოს. ამ გვარად ქობულეთის სოფლებში ჯარების ჩასახლება ტყვილი გამოდგა და კეთილ გონიერობაც ამას მოითხოვდა. ბურიაში კი გარკვევით არ გვესმის ჯარები ისე დამდგარან, თუ სოფლებში ჩაუსახლებიათ. იმედი უნდა გვქონდეს, რომ არც იქ მიიყვანდა მთავრობა ამ უკანასკნელ ზომამდე და ხალხის შეწუხებას არ ინებებდა. შესამჩნევია ის გარემოება, რომ თვით ქობულეთის სოფლებს, როგორც ჩანს, მობეზრებიათ ავაზაკებისაგან შეჭირვება და თვითონ სდევენ. ეს გვიჩვენებს, რომ თუმცა ფირალების შენახვაც ქობულეთლებს აბრალებდენ, საქმით კი სულ სხვები ყოფილან. ამით ქობულეთლები, ამტკიცებენ თავის სიმართლეს, და მშვიდობის მოყვარებას.

* * *

სოფ. შუახელოდამ (შორაპნის მაზრისა) გვწერენ შემდეგ უბედურ შემთხვევას:

1879 წ. ჩვენს სოფელში მომხდარა ერთი უბედური შემთხვევა, რომელიც მხოლოდ წელს გახმაურდა და აიხსნა. ცოლს მოუკლავს ქმარი. საწყალი კაცი სოვდაგრობდა თურმე და დღემდისაც ყველა შუახელს მცხოვრებთ ეგონათ, რომ სადღაც წასულია მოსაგებად, სავაჭროთაო. ხსენებულს წელს ქმარი დაბრუნებულა ოჯახში და გამოუცხადებია ცოლისათვის ხვალ ისევ უნდა წავიდე და საგზალი დამიმზადეო. იმ დღეს აულია პასპორტი, დაბრუნებულა შინ და მოგზაურობისაგან დაღალულს ტკბილად ჩაუძინია. თქვენს მტერსა დაავს, როგორც საგზალი იმ ღამეს ცოლმა მოუმზადა თავის უბედურ ქმარს. როდესაც მძინარე დარჩენილა ქმარი, აუღია ცოლს ბასრი ნაჯახი და ზედ კისერზედ დაუკრია ქმრისთვის; იმ ღამესვე დაუმარხავს ქალს თავ-მოჭრილი ქმარი.—მას უკან, 1882 წლამდის, ეს საქმე საიდუმლოდ იყო თურმე. საწყალი ქალი იტანჯებოდა თურმე. ბოლოს ველარ შეძლო დაფარვა და ეს თავის დანაშაული გაუმჟღავნა თავის შვილს, რომელიც გაყოფილი იყო და ცალკე სცხოვრობდა. შვილს ამიელო თურმე მამის გვამი, რომელიც ამის დედას საბძელში დაესაფლავებინა და სხვაგან დაემარხა. სამწუხარო ზედ მოქმედება იქონია შვილზედ ამ ამბავმა. ჭკუაზედ შესცდა საწყალი და ტყეს წავიდა. 1882 წელს, მაისის თვეს, სოფლის მამასახლისი ერთ ტყეში შეხვდება ამ გაგიჟებულ ადამიანს და გაუჯავრდება:—ტყეს რად დადიხარ, შინ წადიო! ბიჭი შეჰყვირებს:—მე რა ვქნა, ჩემი რა ბრალია, მამა ჩემი დედა ჩემმა მოჰკლ, მე ხომ არ მომიკლავსო. მამასახლისი მიაქცევს ამ სიტყვებს ყურადღებას. გამოჰკითხავს გიჟის დედას. ისეც გამოტყდება: ქმარი სწორედ მე მოვჰკალი, დღემდის ვფარავდი, ახ კი ვერ დავფარავო.

რისთვის, რა მიზეზით ჩაიდინა ამ ქალმა ეს საზიზღარი საქმე, რამ აიძულა თავის მეუღლე მოეკლა, ამაზედ ჩვენი კორრესპონდენტი არასა გვწერს.—ეს საქმე ამ ჟამად სასამართლოს ხელშია.

* * *

დიდ მადლობას გვწერენ თიანეთიდამ იქაურ დამზოგველ ამხანაგობაზედ. სწორედ სულზე მოგვასწროვო და გვიხსნა გაუმაძღარ ვაჭრების ცარცვა-გლეჯისაგანაო. ღმერთმა უშველოს ამ ამხანაგობის დამაარსებელს უეზდის უფროსს ბ. აბხაზს, ამ ჟამად ყველაფერს რიგიანად და იაფადაც ვშოულობთო, რაც კი გვჭირია საწყალ გლეხებსაო.

* * *

ამ წელში, როგორც გაზეთს „Новости"-ს გაუგონია, კავკასიის აქეთა მხარეში მოხდება ხალხთა აღწერაო (კამერალიური აღწერა).

* * *

დაბა ყვირილიდამ გვატყობინებენ, რომ შავ-ქვაზე (მარგანეცი) ორი კამპანია მუშაობსო ამ ჟამად, მაგრამ საწყალ გლეხებს უგზობის გამო ძრიელ გაჭირვებული აქვთ საქმეო, როდესაც მარგანეცი აქ დააქვთ. ჯერ ორთქლით მატარებელს რკინის გზას გვპირდებოდნენ, ეხლა ცხენის რკინის გზაზედაც ლაპარაკობენ, მაგრამ ნეტავი კარგ გზა-ტკეცილს გაგვიყვანდნენ და რკინისას არ დავეძებთო, გვწერენ.

* * *

ჩვენ გვატყობინებენ, რომ 13 ამ თვეს კიდე წაჰკიდებია ცეცხლი საციციანო ტყეს და იწვისო. ხაშურის სტანციიდამ მეტ საზარელს სურათს წარმოადგენსო. ყოველი ცდა სოფლელი ხალხისა ჯერ ამაოდ რჩებაო.

ნუ თუ მართებლობა არ მიაქცევს ყურადღებას ამ გარემოებას და სანამ დ. მ. მიხაილ ნიკოლოზის-ძის ტყეებს არ მოედება ცეცხლი არაფერს საშუალებას იხმარს? თუ ელოდებიან შხაპუნა წვიმას და ცეცხლის გაქრობას, ჩვენ თავი რად შევაწუხოთო!?

ეს ხომ პეტრეს მოსვლამდი, ძველეს ტყავის გაძრობა იქნება.

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ხაშურის სტანციის ბოლოზე ბორჯომის გზის პირად ქარის წისქვილი კეთდებაო. ჩვენი კორრესპონდენტის სიტყვით ამით დიდი შემწეობა მოელის სოფლელებსაო რადგან წყლის წისქვილები აქეთკენ ძალიან ცოტა არისო.

* * *

ბ. ზ. ჭიჭინაძისაგან მივიღეთ ჩვენ შემდეგი შენიშვნა.

ამ დღეებში „დროების" დღიურში მოხსენებული იყო, რომ ბ. ზ. ჭიჭინაძეს საბა სულხან-ორბელიანის სურათი მოსვლია პეტერბურღის აკადემიის ბიბლიოტეკიდამაო.

ამაზე მსურს მოგახსენოთ შემდეგი: საბას სურათის მოსაპოვებლად და გადმოსაღებად მე მივმართე პეტერბურღის უნივერსიტეტის სტუდენტს ბ. სილოვან ხუნდაძესა და ვსთხოვე, რომ ამ საქმეში მონაწილეობა მიეღო და აკადემიის წიგნთ-საცავში მოეძებნა ის ძველი ხელთ ნაწერი „ქილილა და მანა", რომელშიაც დახატულია საბას სურათი.

ბ. სილოვან ხუნდაძემ ჩემს წერილს ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და ბ. ბერიძის შემწეობით და მუშაობით გადაიხატა ეს სურათი კიდეც და მივიღე ბ. სილოვან ხუნდაძისაგან.

ახლა მსურს, თქვენის გაზეთის საშუალებით ამ მოხსენებულ პირთ გადაუხადო მადლობა და საქვეყნოდ გამოვაცხადო ბ. ხუნდაძის გულ-მოდგინება ამ საქმის აღსრულებაში.

* * *

თო იყო და არის ღირსებოდა.—არაბი უნდა უმადლოდეს ამას თავის მეცადინეობას და გამჭრიახობას.

1861 წელში კი ველარ წაიწია წინ: ბევრი მტერები აღმოუჩნდენ—თან მმართებლობას არ მოსწონდა მისი გადამეტებული ღვთის მოსაობა. საიდ-ფაშას უყვარდა გაგიჟებით ჯარი, სამხედრო ძალა და ევროპიულად წრთვნიდა მას. სხვათა შორის საიდ-ფაშამ გამოსცა ბრძანება, რომ კვირაში ორჯელ მეომრებისთვის ეჭმიათ ხილი და ტკბილეულობა. არაბიმ დიდი წინააღმდეგობა აღმოაჩინა ამ განკარგულებას და თავის ხელ-ქვეით ჯარს სიახლოვესაც არ მიაკარა, რადგან ეს ახალდებულება ყორანის წინააღმდეგი არისო. მაშინ გადააყენეს ის სამსახურიდამ და სადღაც რეზერვში ჩარიცხეს, სადაც იმყოფებოდა სანამ ეგვიპტეს მმართველად არ გახდა იზმაილ-ფაშა. ამ უკანასკნელ ფაშის მეფობის დროს, არაბიმ კიდევ ვერ წაიწია წინ, თუმცა ნამდვილ სამსახურში ითვლებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ იზმაილ-ფაშა, როგორც დამოკიდებული მთავარი ეგვიპტისა, იძულებულ იყო უმაღლესის ბრძანებით ეგვიპტელებისათვის თითონ არ მიეცა ჩინები, არ წაეწია წინ; მაგიერად, მას ჰქონდა ნაბრძანები, რომ უცხო ტომის მოხელეებთათვის უფრო სტამბოლიდამ გამოგზავნილებისათვის მიეცა მხარე, საშუალება, ჩინები და ამაღლება..

არაბის ცეცხლი მოედო მისთანა უსამართლობისაგან, შესძულდა ევროპიელები, მოსული ხალხი—უცხო მართებლობა, რომელიც მის ძმათ და მისს სამშობლოს სტანჯავდნენ, აღარიბებდნენ. არაბის გარშემო მოგროვდნენ ყველანი, ვისაც კი თავის მამულისათვის სიკეთე უნდოდათ და ამ გვარად შედგა ეგვიპტეში ნაციონალური დასი. არაბი გახდა ამ დასის მოთავედ, მისი სულის ჩამდგმელად, მისი აზრების განმახორციელებლად.

1876 წელს იზმაილ-ფაშა გამოაბრძანეს ტახტიდამ, მის მაგიერ—დასვეს მისი უნიჭო შვილი ტეფიკ-ფაშა. ამ დროს არაბიმ მიიღო პოლკოვნიკობა და ჩაბარდა პოლკი, მაგრამ ამ ამაღლებამ იმას ვერ შეაცვლევინა აზრები მაშინდელ ეგვიპტის პოლიტიკაზე და ჰგრძნობდა, რომ ხალხის კეთილ დღეობისათვის დიდი და ბევრი ახალი რეფორმებია საჭიროო.

ნაციონალური დასი თან-და თან განძლიერდა და 6 სეკტემბერს, წარსულ წელს, დაიწყო არეულობა, რომელმაც აქამდის გასტანა. არაბი და ორი სხვა პოლკოვნიკი დაიჭირეს და დაამწყვდიეს ციხეში. ამათი თავიდამ მოშორება მართებლობას ადვილად შეეძლო, აღმოსავლეთის ჩვეულებისამებრ მოეწამლათ ან ყელი გამოეჭრათ, მაგრამ მართებლობამ ვერ გაბედა არაბის ხელის შეხება. მთელი ეგვიპტე, როგორც ერთი კაცი, ადგებოდა მისს დასახსნელად. ამ დრომდის ევროპაში სულ არაფერი იცოდნენ, თუ რა კაცი იყო არაბი-ფაშა. დატუსაღების შემდეგ ხალხისათვის წმინდა წამებულად გადაიქცა, ეგვიპტეს სამღვდელოება მიეკედლა იმის აზრებს და მეჩეთებში გაიმართა მისი სახელის დიდება და მაზედ ლოცვა. მმართებლობა დაფრთხა და არაბი სატუსაღოდგან პირ-და-პირ პირველ მინისტრად დანიშნეს. ეს კიდევ არაფერი, ხონთქარი იძულებული იყო გაეგზავნა არაბისათვის პირველი ხარისხის ორდენი მეჯიდიე, მაშინ როდესაც არაბი დიდს წინააღმდეგობას უჩენდა მას.

ჩვენ არ მოვყვებით დღითი დღე დაწვრილებით აღწერას ამ უკანასკნელ დროს ეგვიპტის საქმეებისას. თითქმის ყველამ იცის, თუ რა ამბები ხდება იქ.

ჩვენ გვინდა მხოლოდ ერთი ფაქტი მოვიხსენიოთ არაბის ცხოვრებიდამ, რომელიც გვიმტკიცებს, თუ რა სიფრთხილით საჭიროა მოქმედება აღმოსავლეთში.

როდესაც არაბიმ მიიღო ხონთქრისაგან გამოგზავნილი ორდენი მეჯიდიე ფირმანთან ერთად, მან ჯერ დიდის სიფრთხილით გახსნა ქაღალდი და რაც შეიძლებოდა მისი მოკლე ხელებით, შორს დაიჭირა და ისრე წაიკითხა; პატარა კოლოფი, რომელშიაც ორდენი იყო, გადასცა მოსამსახურეს და უბრძანა, რომ მის მოშორებით გაეხსნა.

არაბის ეშინოდა რომ რაიმე საწამლავი არ ყოფილიყო, ფირმანში ან დინამიტი პატარა კოლოფში.

ჩვენ გთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ამ ძმათა, წვრილმან საქონლის მოვაჭრეთაგან, რომელნიც ვაჭრობენ მიხაილოვის ქუჩაზე ბ. სტრახოვის სახლებში ახლო-მახლო მცხოვრებლებს მოსვენება არა აქვთო,—ყოველ საღამოს თუ არა, კვირაში სამ ღამეს მაინც, არის ამ დუქნის წინ ერთი საშინელი ჩხუბი და არეულობა. თითქმის ყოველ გამვლელ ქართველ ბიჭს რაღაც თავისებურ ხრიკებს მოუდებენ და დაუწყებენ ერთს უშვერ ლანძღვა-გინებას. ესენიც, რა თქმა უნდა, არ მოუთმენენ, იმათ თავიანთი და ამათ კიდევ თავიანთი ამქრები გამოესარჩლებიან და ერთი მუშტი-კრივი იმართება. ეს მოვაჭრე ძმები სომხები არიან.

ჩვენ არ გვესმის რა მოხელენი არიან პოლიციელები და რატომ ესე გულ-გრილად უცქერიან ამ ორი სხვა-და-სხვა ჯურის ხალხის ჯერ-ჯერობით წვრილ-წვრილ შეტაკების?...

„დროების“ კორრესპონდენცია

ქობულეთი, 11 აგვისტოს „დროებაში“ იყო მოხსენებული მთავარ-მმართებლის თ. დონდუკოვ-კორსაკოვის მოგზაურობა ჭოროხიდან, მაგრამ რადგან დაწვრილებით. არ იყო ზოგი რამ ნათქვამი, ამიტომ მსურს მოგახსენოთ. მე ვიყავი დამსწრე მისი მოგზაურობისა.

ბათომის გუბერნატორი 16 ივნისს წაბრძანდა შესაგებებლად, გაიარა ბათომის უჩასტკის სოფლები: ახალშენი, ზოჭი, ერგე, კიბე და მცხოვრებთ ამ სოფლებისას უბრძანა, რომ მთავარ-მმართებელი მობრძანდება, შეხვდით აჭარის-წყალზედ და თუ რამე გაჭირვება გაქვან, სთხოვეთო. იქიდან გუბერნატორი წაბრძანდა მარადიდში, სადაც იმყოფებოდა გონიას უჩასტკის უფროსი, მაიორი ახმედ-ეფენდი ხალვაში და ჰყავდა დაპატიჟებული გუბერნატორი სადილად. იგი შეხვდა გუბერნატორს დიდი ცერემონიებით. ჭოროხის პირად მარადიდის წყალზედ, ხიდეზედ, იყო გამართული სუფრა. ღამე მახლობლად იყო მორთული ყვავილებით, ფანრებით, ბაირაღებით, შუშხუნის სროლით, გორაებზედ სულ ცეცხლი იყო დანთებული. სწორედ მშვენიერი სანახავი იყო და პირველ საათამდის მხიარულებით და ქეიფით გაატარეს.

გათენდა-რა, 17 ივნისს, იქიდგან წაბრძანდა ართვინისკენ (ლივანისკენ), შეხვდა არდაჰანის გადმოსარებს. შემდეგ წავიდა შესაგებებლად ბათომის ოლქის უფროსი სტეფანოვი და შეხვდა წითურეთს, სადაც მობრძანდა თ. მთავარ-მმართებელი და დაათვალიერა ყაზარმები და სალდათები.

იქიდან გამობრძანდნენ ბორჩხაში. შეხვდა გურიის დრუჟინის ასი კაცი. ძალიან მოეწონა მათი (მილიციონერების) კოჩაღობა და სიმარდე, მადლობა გამოუცხადა და უბრძანა: „მე თქვენ პორუჩიონს და ჯამაგირს მოგიმატებთო“. იმათთან იყვნენ გარაზმული ბორჩხის მცხოვრებლები და იმავე უჩასტკის დეპუტაცია. მიართვეს თხოვნა და მოახსენეს შემდეგი: „ჩვენ ოსმალოს ხელში ვიყავით მიწაზედ ვიწროდ, მჭიდროდ დასახლებულები. მაგრამ ჩვენ გვქონდა ხელობა—წასვლა-წამოსვლა, ვაჭრობა და ამით ვირჩენდით თავს. ახლა, რადგანაც დაგვეკლიტა ის გზები, გთხოვთ მოგვცეთ სამუშავოდ მიწები, დატოვებულები ჩვენი მოძმებისაგან, ოსმალოში გარდასახლებულებისაგან, დაგვედევას ის გარდასახადი, რაც არის განწესებული და არ დაგვაგდოთ ყურმოჭრილ ყმებად; ოცი წლის განმავალობაში ჩვენი მომავალი შვილებით გავამსებთ ამ ადგილებსო“. თ. დონდუკოვმა უბრძანა: „მეცდებით, ვიშუამდგომლებო და ყოველივე შემწეობას ამოგიჩენთო“. ღმერთმა ქნას, რომ ცარიელი დარჩენილი მიწები მმართებლობამ მიანიჭოს ბათომის ოლქის ყველა უმამულო სოფლის მკვიდრ მცხოვრებლებს!

იქიდან წაბრძანდა მთავარ-მმართებელი აჭარაში. მშვენიერ სურათს წარმოადგენდა ის ცერემონია, რომელიც უჩვენა მცხოვრებლებმა ჭოროხის პირ სოფლელებისა: ქილას-კურის, ხებას, კატაფხიას, ზემო-მარადიდს და ქვემო-მარადიდს. მგზავრები მოვიდოდნენ ჩარაზმული ნავებით, რომლებსაც მიაქროლებდა ცქაფი წყალი ჭოროხი. წინ მოჰქონდათ ბათომის ცხენოსან ჯარის მწვანე ბაირაღი; იმასთან მეორე ბაირაღი გონიის უჩასტკისა რუსულად წაწერილი „участокъ Гонія“. როგორც თ. დონდუკოვი, ისე წყლის პირზე დამხვდარი გროვა ხალხი აძლევდა სალამს და აცილებდნენ მას სოფლიდან სოფლამდე „ურას“ ძახილით და თოფის სროლით; ასე ამ ნაირად გააცილეს აჭარის-წყალამდი.

ახლა საკუთრად ქობულეთისა უნდა მოგახსენოთ: ქობულეთში რამოდენიმე მცირე მოსამსახურე კაცების და ძველი უფროსების წყალობით იყო გავარდნილი ფირალად (ყაჩაღად) რამდენიმე კაცი ქაკალ-ოღლები და კვესი-ოღლები. იმათ ჩუმად უჯდებოდნენ მილიციონერები, სამი გზობა შეხვდნენ და სამივე გზობა მილიციები დამარცხდნენ და ფირალები გაიქცნენ. ამაზე გამოგზავნა გუბერნატორმა ოლქის უფროსი სტეფანოვი და საკუთარი თვისი ჩინოვნიკი ივანოვი და ქობულეთლებს მოსთხოვეს ის ფირალები. ამისთვის ორი როტა რუსი მოიყვანეს ბათომიდან ზღვის პირად; ორი როტა რუსი ტერათის მთიდან გადმოიყვანეს ქვემო-ხინოში, ორი როტა იკალუას მთიდან გადმოიყვანეს ზემო-ხინოში. ამათით გაალამქრეს ქობულეთის სოფლები. რუსებსაც სჭიროდათ მანიოვრა. ქობულეთლებმა დაუწყეს ერთმანეთს ლაპარაკი: „ვაიმე ძავ! ჩვენმა ძმებმა გადასახლებულებმა ოსმალოში. რომ გვიქადაგა, წამოდითო თვარა რუსები გადგასახლებთო რუსეთშიო, ის დღე დაგვადგა მგონი“. ამაზე მისცა ალთქმა ქობულეთლებმ, რომ ფირალებს მოვსპობთო. შეფიცეს ერთმანეთს „არ აჭამოს ვინმემ პური და არც შეინახოს (ბინა მისცეს)“. დაიფიცეს: „ვალლაჰა-ბილლაჰა“ და კიდევაც შეიყარნენ; მოლა შეაყენეს მაღალზედ, შამოეხვია ხალხი და „გარდასცეს“ (დასწყევლეს). მოლამ დაიძახა: „გამჩენო ღმერთო! ვინც იმას პურს აჭმევს, და ინახავს, არ იყვირებს და თოფს არ ჰკრავს, იმ გაქცეულ ფირალებს, მისი ოჯახი ცოლიან-შვილიანი დააქციოს და ამ დუნიასაც და იმ დუნიასაც (საქაოსაც და საიქიოსაც) ღმერთო ხეირს ნუ აქნიებ მათო“. ხალხმა სამი გზობა დასძახა: „ამინ“. ამის შემდეგ სოფლის სოფელს შეაყენეს (ამოირჩიეს) ასი კაცი, იქირავეს ას თუმნად თვეში, დააყენეს მცველებად და დაუყენეს კამანდირად სულეიმან-აღა წილოსანი და გაუშვეს ფირალების საძებრად. დაუბარეს სულეიმან-აღას: „თუ საჭიროება მოითხოვს, ყველა ქობულეთლები გამოვალთ იარაღშიო“.

5 აგვისტოს ჩურუქსუში მობრძანდა ბათომის სამხედრო გუბერნატორი, რომელიც მიემგზავრებოდა ოზურგეთში გურიის ჩასაბარებლად. მოვიდნენ ქობულეთის მცხოვრებლებიცა და მოახსენეს: „მადლობა ღმერთს, რომ გურია მოადგეს ჩვენს ქობულეთს (ბათომს) და ჩვენი ფირალები ჩვენს მიწაზედ არ იმყოფება; თავს იფარვენ გურიის მაზრაში და გთხოვთ რომ მისვლისათანავე იქავ მოგვცეთ რამე საშუალებაო“. იმავე ღამესვე ქობულეთლები მოადგნენ ძველ ჩოლოქის საზღვარს სამასი კაცი. 6 აგვისტოს ღამეს გაგზავნა გუბერნატორმა პრისტავი, გაატანა ერთი როტა ჯარი და ორასი კაცი გურულები (ლეხოურლები). ამ ჯარის გავლით კიდევაც დაამწყვდიეს ფირალები ტალახას ტყეში (ძველ სამზღვარში). იმ ფირალებიდან მოკლეს ორი კაცი და სხვანები არიან გაქცეულები, რომლებსაც მისდევენ დღესაც ქობულეთლები.

მიბრძანდა რა ბატ. გუბერნატორი ოზურგეთში, ყოველივე ღონის-ძიებას ხმარობს სასამართლოებზედ, ჩინოვნიკებზედ და ხალხზედ მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად გურიაში და გამოსაყვანად გურულებისა გაჭირვებისაგან. მას მოჰყვა პოლკოვნიკი ლევაშოვი. გუბერნატორმა გაგზავნა ჯარი სოფლებში ჩასაყენებლად, თან წაყვა ბ. ლევაშოვიც. დიდ შრომაში არიან ბბ. გუბერნატორი, ლევაშოვი და ივანოვი, რომელთაც კეთ-მოყვარე და კეთილ კაცებად ვიცნობთ. ცდილობენ რომ გურიაში წესიერება ჩამოვარდეს.

ოზურგეთში შევხვდი ერთ ამბავს: თავადები და აზნაურები ელაპარაკებოდა გლეხ ხალხს: „—მოგვიყიდათ როზგის დროიდ, ჩვენ ვერ გვაკადრებენო, თქვენ კი ყაზახებს (გლეხებს) ჯოხს დაგარტყმენო“. გლეხებმა უთხრეს: „მართალია თქვენ ჯოხს ვერ გაკადრებენ, მაგრამ საპალნის ბაწრებიც მზად არის თქვენთვისო; რამოდენს თქვენც კი ჩამოგახრჩობენო“.

ეს კი იქით დავტოვოთ, ისიც უნდა მოგახსენოთ ანდაზად ძველი კაცის ნათქვამია: „წყალი ნაწყლულს და გზა ნაგზურსო“. ქობულეთი, ბათომი და სხვებიც ჭოროხს აქეთ, ძველად ერთი სამთავრო იყო გურიელისა. ახლა დიდი იმედნეული ვართ, რომ ეს ჩვენი გუბერნატორი ნამდვილ მშვიდობიანობას ჩამოაგდებს ამ შეერთებულ მხარეებში და წარმატებას მისცემს ჯურიის ხალხს ეკონომიურ მდგომარეობაში.

ახმედ-აღა კაიკაცისშვილი.

თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს-ავათმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. სუსტის ავათმყოფობისა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

17 ამა აგვისტოდამ ტფილისის მოქალაქეთა უპრავა გადავიდა ადრინდელ სომეხთ სასულიერო სემინარიის სახლში სალდათის ბაზარში.

გ. იოსელიონისა და რ. რეცოლდის პანსიონში და პროგიმნაზიის კურსის სასწავლებელში იღებენ ყმაწვილების პირობით ყველა საშუალ სას წავლებლებში მოსამზადებლად. ფასი ზომიერია.

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, ბურგენბეგოვის სახლებში, № 81-ი.

(5—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 18 ამა აგვისტოსა, დილით 12 საათ. გამგეობის თანადასწრებით იქნება ვაჭრობა იჯარით გასაცემ ქალაქის ადგილებისა ხის ბუთკებით, გასასყიდათ ხელოვნებითი მადნეულის წყლებისა სხვა-და-სხვა ადგილებში! გალავინის პროსპექტზე, გიმნაზიის ქუჩასთან 1, რეიტერის სახლთან 1, ფოხტის სტანციის პირ-და-პირ ერთი, ალექსანდროვის ბაღთან 1, ერივნის მოედანზე 3, და ავლაბრის მოედანზე 1, სულ ცხრა ადგილი ბუდკებით. დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე დილ-დილაობით პირველს საათამდინ.

(3—3)

ვილებ მოსამზადებლად, ჩემს ხარჯზედ პირველის და მეორე კლასების შაგირდებს. დაწვრილებითი პირობების შეტყობისთვის ვითხოვ მიმართოთ ლაბორატორიის და ჭავჭავაძის ქუჩების კუთ., სახლში № 57. (3—2)

ᲜᲐᲤᲘᲪᲘ ᲕᲔᲥᲘᲚᲘ

სერგეი ვასილის ძე

ᲩᲔᲛᲔᲡᲝᲕᲘ

გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე ბატბელოვის სახლებში (6—3)

ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

სალიანის თევზეულისა

უცხადებს საზოგადოებას, რომ მან ახლად მიიღო სალიანში მარტში დაჭერილი თევზეული საგანგებოდ მომზადებული და ისყიდება წვრილადაც და პარტიითაც. აქავე ისყიდება ყოველ დღე მოხარშული თევზეული. მაღაზია იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვეშ. (12—9)

ვამლევ დღიურად და თვეობით იაფათ მებლიროვან ოთახებს, სახელად

„ᲚᲘᲕᲐᲓᲘᲐ“

გოლოვინის პროსპექტზედ.

(20—16)

ᲛᲝᲡᲔᲡ ᲕᲐᲠᲗᲐᲜᲘᲐᲜᲪᲘᲡ

ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ

მიღებულია ახალი რუსული, სომხური და ბევრი სხვა ენების შრიფტ.ც. სხვათა შორის მიღებულია

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲠᲘᲤᲢᲘᲪ.

მიიღება ყოველ გვარი შეკვეთა—ბეჭდვა წიგნებისა ქურნალ-გაზეთებისა და სხვ. (5—4)

დაიბეჭდა და ისყიდება

ᲥᲐᲠᲐᲛᲐᲜᲘᲐᲜᲘ

ᲛᲔᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

მსურველთ შეუძლიათ მიითხოვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდინ მელიქოვის სტამბაში ბატონ ნიკოლოზ კობალაძესთან.

ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ

ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ

Издаваемый въ г. Тифлисѣ

(годъ второй)

Открыта полугодовая подписка на журналъ съ 1 Іюля 1882 г. по 1 января 1883 года

Цѣна за полгода 6 руб.

Кромѣ того можно подписаться на 3 м-ца 3 р. 20 к. на 1 м-цъ 1 р. 20 к. Подписка принимается съ 1 числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и черезъ мѣсяцъ еще 3 руб.

Подписка принимается въ г. Тифлисѣ въ Администраціи журнала, Сололакскаа улица д. № 10 и въ Москвѣ и въ С.-Петербургѣ въ книжныхъ магазинахъ И. И. Анисимова.

(6—5)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲛᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ: პაროსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—99)

ᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ

ᲙᲐᲠᲐᲑᲐᲓᲘᲜᲘ

ისყიდება ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: მურადოვის ,და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ᲤᲐᲡᲘ ᲧᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

ᲡᲐᲮᲡᲝᲕᲐᲠᲘ

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲜᲐᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘ

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐᲜᲘ

წიგნი მეორე.

ი ყიდება ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

ᲒᲝᲠᲨᲘ: მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

მწყემსის სტვირი

ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ, ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲖᲦᲐᲞᲠᲔᲑᲘ

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის სკოლაში და შინ საკითხავად ადაიანცისა

გამოცემა გ. ძ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი

(10—7)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

ᲘᲒᲐᲕ-ᲐᲠᲐᲙᲜᲘ

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისაგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნ.

Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).

сост. Д. П. Пурцеладзе.

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

ᲢᲐᲥᲪᲘᲡ

საგზებაგ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 16 აგვისტოდან 1 სექტემბრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილ

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5
მეორის „	—1 გირ.	3½
მესამის „	—1 გირ.	—
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვ		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	5½
მეორის „	—1 გირ.	4
ჯვარის-მამის პური:		
პირველ ხარის. ლავაში	1 გირ.	6
მეორის „ „	—1 გირ.	5
მესამის „ „	—1 გირ.	4½
ძროხის ხორცი:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	8
მეორის „	—1 გირ.	7
სუკი — —	—1 გირ.	14
ცხვრის ხორცი	1 გირ.	9
ღორის ხორცი:		
პირველი ხარისხის	—1 გირ.	—
მეორის „	—1 გირ.	—

ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

15 სექტემბრიდამ დაიწყება ქართული თეატრალური სეზონი. უმორჩილესად ვ თხოვთ ყველა ავტორებს და მთარგმნელებს, ვისაც კი მოეძევათ პიესები გამოგზავნონ 1 სექტემბრამდის რადგან მთელი სეზონის რეპერტუარი გამოცხადებული უნდა იყოს წარმოდგენების დაწყებისათანავე; ეს დაჩქარება მით უფრო საჭიროა, რომ 1 იანვრამდის 1883 წლ. პიესების ცენზურაში გატარება შეიძლება აქვე, ტფილისში, მას შემდეგ კი უნდა გაიგზავნოს უმაღლეს მთავრობასთან და იმისათვის რომ ეს დიდი დაბრკოლება, ქართულ თეატრის შესახებ, თავიდან ავიცილოთ, ჩვენ კიდევ ვიმეორებთ ჩვენს თხოვნას, რომ პიესები რაც შეიძლება მალე გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ въ редакцію „Дроэба“ Константину Семеновичу Месхи.

ამასთანავე ვაცხადებთ, რომ ვისაც კი სურს ქართულ დრამატულ დრო-გამოშვებით მონაწილეობის მიღება ან სურს შემოვიდეს სამუდამო მოთამაშედ, შეუძლიან ამავე ადრესით მოგვმართოს პირობების შესატყობად.

ძველ მოთამაშეთ ვაუწყებთ, ვისაც სურსთ, შეგვეკრან კონტრაქტით იმ პირობებზე და წესებზე, რომელნიც დამტკიცებულნი არიან ქართული დრამატულ საზოგადოებისაგან, პირველ სექტემბრამდის; რომელიც კი ამ ვადამდე არ შეგვეკრება კონტრაქტით, შემდეგში აღარ იქნება მიღებული ქართულ დასში.

მოთამაშეთა სახელ-გვარი, რეპერტუარი, აბონიმენტი, წარმოდგენების დღეები ნი და თვითონ თეატრი, ე. ი. სად გაიმართება წარმოდგენები—გამოცხადდება სექტემბერს.

ქართული თეატრის საქმეთა გამგენი { ვ. აბაშიძე. კ. მესხი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Августа 1882 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი